ქუთაისის
უნივერსიტეტი

ქუთაისის
უნივერსიტეტი

დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“
რექტორის 10/01/2019წ. №5 ბრძანებით
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი
ლელა ქელბუქიანი

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

კონცეფცია და პოლიტიკა

ქუთაისი, 2019 წელი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და პოლიტიკა

„ხარისხი ნიშნავს რაიმეს სწორად კეთებას მაშინაც კი, როცა არავინ გიყურებს“
ჰენრი ფორდი

სამსახურის კონცეფცია:

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული მენეჯმენტის ნაწილს და თავისი საქმიანობით ემსახურება უნივერსიტეტის მისიის განხორციელებას. იგი მიზნად ისახავს მაქსიმალურ დონეზე უზრუნველყოს უმაღლესი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობა და ხელი შეუწყოს ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტების აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება პრინციპებს, რომლებიც ორიენტირებულია ყველა დაინტერესებული მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული ხელს უწყობს სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრაციული საქმიანობისა და შედეგების შეფასების წარმატებით განხორციელებას. უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხარისხის შიდა და გარე შეფასების მეთოდების და „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA) ციკლის პრაქტიკაში განხორციელებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ითვალისწინებს ხარისხის მართვის საერთაშორისო პრაქტიკას (IQM-ის სახელმძღვანელო - „ხარისხის შიდა მართვა კომპეტენციებზე დაფუძნებულ განათლებაში“), ეყრდნობა უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, აგრეთვე უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG).

სამსახურის მიზნებია: ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის განვითარება, ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის პროცესების წარმატებით გავლა, უნივერსიტეტის ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრირება და სტუდენტების ჩართულობის გაზრდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში.

ქუთაისის უნივერსიტეტი

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელობს შემდეგი პოლიტიკებით და პროცედურებით:

1. **საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა**

- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, შემუშავება და დამტკიცება;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება;
- მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

2. **შიდა შეფასებაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა**

- სამეცნიერო კვლევების შეფასება;
- აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ანგარიშგება და თვითშეფასება;
- ხარისხის შიდა კვლევების ჩატარება.

3. **სტუდენტების ინტეგრირება საუნივერსიტეტო პროცესებში**

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში სტუდენტების ჩართულობა;
- სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების პროცესებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.

1. **საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, დახვეწილი და შედეგებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განვითარებას. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებითა და თანამედროვე სამუშაო ბაზრის მოთხოვნის მიხედვით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტებს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად მოახდინონ მათ მიერ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკაში გამოყენება.

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ქუთაისის უნივერსიტეტეტი ითვალისწინებს საუნივერსიტეტო საზოგადოების და გარე დაინტერესებული მხარეების ინტერესებს, გარე ფაქტორებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მათთან თავსებადობას.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა აერთიანებს სამ პროცედურას საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირება, შემუშავება და დამტკიცება, საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, რომლებიც დეტალურად გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელოში.

2. **შიდა შეფასებაზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა**

უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება ეფუძნება გარე და შიდა შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმების დანერგვას და მათ მონიტორინგს. აქედან გამომდინარე ქუთაისის უნივერსიტეტი მიზნად ისახავს განახორციელოს სამეცნიერო კვლევების შეფასება, მოახდინოს აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასება, დანერგოს ანგარიშგების და თვითშეფასების ეფექტური მექანიზმები და წარმართოს ხარისხის შიდა კვლევების პროცედურები. მიღებული შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდება შიდა შეფასების სისტემა, რაც უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საქმიანობის უწყვეტ და მდგრად განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების საშუალებით ისახება კვლევითი საქმიანობის გრძელვადიანი განვითარების გეგმა და მისი პრიორიტეტები, რომლებიც აუმჯობესებს სწავლების ხარისხს, მასში კვლევითი კომპონენტების ინტეგრირებას, ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებელსა და აკადემიური პერსონალის განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება აერთიანებს კვლევების შეფასებას შემდეგი სახეების მიხედვით: აკადემიური პერსონალის სასწავლო-სამეცნიერო დატვირთვით განსაზღვრული სამუშაოები; გარე სამეცნიერო ფონდებით დაფინანსებული კვლევა; შიდა დაფინანსებით მიმდინარე სამეცნიერო კვლევა; სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებით მიმდინარე კვლევები და სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში ჩართულობა.

აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მუშაობის შეფასება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამსახურის მიერ, პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებული აქტივობების მიხედვით.

თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურის საშუალებით კი უნივერსიტეტი განავითარებს განათლების ხარისხის სისტემატიური თვითშეფასებისა და ანგარიშგების დამკვიდრებას. აღნიშნული პროცედურები გამოიყენება სწავლა-სწავლების, კვლევისა და მართვის თანმიმდევრული გაუმჯობესებისა და ეფექტიანობისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფა ქუთაისის უნივერსიტეტში მონაწილეობრივია, რაც გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესში ჩართულია მის სივრცეში არსებული ყველა რგოლი, რომლებიც თავიანთი კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას მიიღებენ წლიური ანგარიშის შექმნასა და განხორციელებული პროცედურების შეფასებასა და მათ გასაუმჯობესებელ აქტივობებში.

ქუთაისის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სისტემატურად ახდენს ხარისხის შიდა კვლევების ორგანიზებასა და მათი შედეგების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას. პირველი ეტაპისთვის სამსახური ახდენს საკვლევი თემატიკის იდენტიფიცირებას. მეორე ეტაპზე სამსახური ატარებს კვლევას, რასაც მესამე ეტაპად მოჰყვება შედეგების შეჯამება, გაანალიზება და შესაბამისი სამსახურებისთვის რეკომენდაციების გაცემა. მეოთხე ეტაპზე ხორციელდება გათვალისწინებული ცვლილებების შეჯამება, ხოლო ბოლო, მეხუთე ეტაპზე სამსახური საკვლევ აუდიტორიას უბრუნებს უკუკავშირს. კვლევის შედეგები ანგარიშის სახით წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე

გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

3. სტუდენტების ინტეგრირება საუნივერსიტეტო პროცესებში

ქუთაისის უნივერსიტეტი სტუდენტთა ჩართულობას განიხილავს, როგორც სტუდენტთა და საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების ურთიერთქმედებას სასწავლო შედეგების ზრდისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე უნივერსიტეტი მიზნად ისახავს სტუდენტებზე ორიენტირებული გარემოს შექმნასა და განვითარებას, რომელიც მაქსიმალურად ხელს შეუწყობს სტუდენტების ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში.

სტუდენტების ინტეგრირებისთვის დაწესებულება მიიჩნევს, რომ აუცილებელია მათი ჩართულობა სწავლების, კვლევის, ადმინისტრირების და სტუდენტების განვითარებისთვის დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელების პროცესებში. სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად:

- უნივერსიტეტი მათ სთავაზობს ოთხთვიან ანაზღაურებად სტაჟირებას. აღნიშნული აქტივობის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს უნივერსიტეტის სივრცეში მათი უკეთ ინტეგრირება, საუნივერსიტეტო საქმიანობაში სტუდენტების მიერ წვლილის შეტანა და მათი სამომავლოდ დასაქმების ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანია ფაკულტეტების ადმინისტრაციულ საქმიანობაში სტუდენტების, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრების მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ისინი ერთვებიან პროგრამის კომიტეტის მუშაობაში;
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტური თვითმმართველობის მიერ აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა სტუდენტებს აძლევს ბიძგს დაახლოებული გახდნენ საუნივერსიტეტო სივრცესთან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე მიიჩნევს, რომ სტუდენტების ინტეგრირების პროცესში არსებითია მათი დამოკიდებულებების გაცნობა და მათზე ეფექტური რეაგირება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მნიშვნელოვანი აქტივობაა სტუდენტების მიერ მიმდინარე პროცესების, პროცედურების, რესურსების შეფასებისა და განწყობების მაიდენტიფიცირებელი გამოკითხვების შედეგების შესწავლა. სამსახური რეგულარულად

ატარებს გამოკითხვებს და ფარავს ყველა საჭირო მიმართულებას. ჩატარებული გამოკითხვების კითხვარების ფორმები ხელმისაწვდომია ხარისხის შიდა კვლევების პროცედურების სახელმძღვანელოში.

სტუდენტებთან კომუნიკაციის გასამარტივებლად მათი მომსახურების და საკონსულტაციო სერვისების გაუმჯობესება მნიშვნელოვანია, რაც ხელს შეუწყობს ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში სტუდენტების მაქსიმალურ ჩართულობას. საბაკლავარო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სტუდენტებს ჰყავთ ამავე პროგრამების კოორდინატორები, რომლებიც ასრულებენ როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური მრჩევლის ფუნქციას.

სტუდენტების საუნივერსიტეტო პროცესებში ინტეგრირება გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში, სწავლა-სწავლების, კვლევის და ადმინისტრირების პროცესებში მათი ჩართულობის ხელშეწყობასა და გაზრდას.